ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებისა და სადისერტაციო საბჭოების დებულება

თბილისი

2025 წელი

1. რეგულირების სფერო

ეს დებულება არეგულირებს ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სადოქტორო პროგრამების და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, ასევე სადისერტაციო საბჭოების ფორმირებისა და საქმიანობის წესს.

2. სადოქტორო პროგრამების ზოგადი მიზანი

2.1. სადოქტორო პროგრამების ზოგადი მიზანია ორიგინალური და ინოვაციური სამეცნიერო კვლევის გზით ახალი ცოდნის შექმნა და/ან არსებული ცოდნის განვითარება.

2.2. სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორანტთა დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისათვის მომზადებაში, და აგრეთვე, მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის ხელის შეწყობა.

2.3. სადოქტორო პროგრამის მიზანია სადოქტორო ნაშრომის შედეგები იყოს ორიგინალური და ინოვაციური ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, გააჩნდეს როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული ან თეორიული მნიშვნელობა.

3. სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი

3.1. სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირებას ახორციელებს სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი.

3.2. სადოქტორო პროგრამების კოორდინატორის უფლებები და მოვალეობები:

3.2.1. დაინტერესებული პირებისა და დოქტორანტების ინფორმირება საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

3.2.2. დოქტორანტისთვის კონსულტაციის გაწევა ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით;

3.2.3. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;

3.2.4. დოქტორანტთა პირადი საქმეების წარმოება;

3.2.5. სადისერტაციო საბჭოს ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფა.

4. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება და ჩარიცხვის პირობები

4.1. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს სადოქტორო პროგრამაზე.

4.2. სადოქტორო პროგრამაზე მიღება რეგულირდება საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

4.3. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

4.4. სადოქტორო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.5. აკრძალულია უნივერსიტეტში არსებულ სადოქტორო პროგრამაზე იმ პირის მიღება, რომელსაც სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო შეუწყდა სტუდენტის სტატუსი ნებისმიერი ტიპის პროგრამაზე.

4.6. სადოქტორო პროგრამაზე მიღების შესახებ განცხადება თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.agruni.edu.ge).

4.7. სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

4.7.1. ავტობიოგრაფია (Curriculum Vitae);

4.7.2. პირადობის მოწმობის ასლი;

4.7.3. ელექტრონული ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ;

4.7.4. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი და დანართი;

4.7.5. ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა და/ან ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატს აქვს ინგლისურ ენაზე სწავლის და/ან მუშაობის გამოცდილება;

4.7.6. კვლევის თეზისს/პროექტს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას და უნდა მოიცავდეს საკვლევი თემატიკის წინასწარ აღწერას და მისი მნიშვნელობის დასაბუთებას.

4.7.7. კვლევის შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი მასალა, როგორიცაა მაგალითად სამეცნიერო სტატია, კონფერენციის თეზისი, სამაგისტრო ნაშრომი და სხვა. წარმოდგენილი მასალის თავსებადობას დაგეგნილი კვლევის თემატიკასთან ადგენს სამეცნიერო მიმართულების კომისია.

4.8. თუ პირს არ აქვს 4.7.5. ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი, მაშინ იგი აბარებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის ტესტს.

4.9. ჩარიცხვის მსურველი პირი გაივლის გასაუბრებას გამოცდის სახით შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სამეცნიერო მიმართულების კომისიასთან.

4.10. სამეცნიერო მიმართულების კომისია განიხილავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შეაფასებს კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. დაინტერესებული პირის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

4.10.1. კანდიდატის აკადემიური და პროფესიული გამოცდილება;

4.10.2. უნარები:

- ახალი ცოდნის შექმნის პოტენციალი;
- ანალიტიკური აზროვნება;
- კრიტიკული აზროვნება.

4.11. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების სახით ჩატარებული გამოცდის საფუძველზე სამეცნიერო მიმართულების კომისია რექტორს წარუდგენს რეკომენდაციას სადოქტორო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ.

4.12. რექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

4.13. დოქტორანტს და უნივერსიტეტს შორის იდება ხელშეკრულება, სადაც განისაზღვრება მათი უფლება–მოვალეობები.

4.14. პირის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ძალაში შედის უნივერსიტეტთან ორმხრივი ხელშეკრულების დადების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხელშეკრულება არ არის ორმხრივად ხელმოწერილი, ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ბათილია.

4.15. ინფორმაცია სასწავლო/საგამოცდო პროცესების თაობაზე, რომელიც დოქტორანტებს მიეწოდებათ ჯგუფური ან ავტომატურად ელექტრონულ სისტემაში გენერირებული წერილობითი შეტყობინებების სახით, არის მხოლოდ დოქტორანტების ინფორმირების, შეხსენებისა და მხედველობაში მიღების მიზნით და ასეთი შეტყობინებების მიმღებ დოქტორანტებს არ ანიჭებს არავითარ ახალ ან განსხვავებულ უფლებას. ასეთი ტიპის შეტყობინების მიღების შემდეგ, დოქტორანტი ვალდებულია, ამ შეტყობინებაში დასახელებულ საგანთან/საკითხთან/მოვლენასთან/ღონისძიებასთან საკუთარი შესაბამისობის განმსაზღვრელი პირადი გარემოებები, ვალდებულებები და უფლებამოსილებები გადაამოწმოს თავად. ასეთ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია და მისი რელევანტურობა კონკრეტული დოქტორანტის მიმართ უნდა გადამოწმდეს თითოეული დოქტორანტის მიერ შესაბამისი სკოლის/პროგრამის კოორდინატორთან და არ წარმოქმნის არავითარ ახალ ან დამატებით ვალდებულებას უნივერსიტეტისათვის.

5. სადოქტორო პროგრამაზე სწავლა

5.1. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პროცესი მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.

5.2. სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

5.3. სადოქტორო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა განისაზღვრება პროგრამის დოკუმენტით და კურიკულუმით.

6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

6.1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი და/ან დოქტორის კვალიფიკაციის მქონე პირი.

6.2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.

6.3. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

6.4. სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)სა და სადისერტაციო თემის სათაურს ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო სამეცნიერო მიმართულების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც არაუგვიანეს პირველი სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში განიხილავს დოქტორანტისა და პოტენციური ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ წარდგენილ განცხადებას (დანართი 1) სადისერტაციო თემის დასახელების, კვლევის/პროექტის სიახლისა და აქტუალობის, ასევე შესაბამისი ფინანსური და მატერიალური/ტექნიკური რესურსების არსებობისა და საჭიროების შესახებ და დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას (დანართი 2).

6.5. დამატებითი ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცება შესაძლებელია შემდეგ სემესტრებშიც კვლევის შედეგებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

6.6. სამეცნიერო ხელმღვანელს შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 5 და ერთი სასწავლო წლის მიღებიდან მაქსიმუმ 2 დოქტორანტი.

6.7. თანაფარდობა სამეცნიერო ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ უნდა აღემატებოდეს 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე.

6.8. კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა.

6.9. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დაფინანსება

7.1. პროგრამის დაფინანსება შეიძლება ხორციელდებოდეს გრანტით, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით, საუნივერსიტეტო დაფინანსებით, თვითდაფინანსებით და ნებისმიერი სხვა სახის დაფინანსებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

7.2. სასწავლო და კვლევითი კომპონენტის საფასურის დაფარვის წესი და სქემა განისაზღვრება ინდივიდუალურად და აისახება დოქტორანტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

8. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა

8.1. დოქტორანტს შეიძლება სტატუსი შეუჩერდეს ან შეუწყდეს საქართველოს კანონმდებლობის, ამ დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა რეგულაციების შესაბამისად.

9. სადოქტორო პროგრამაზე სწავლა და კვლევითი კომპონენტის შესრულება

9.1. დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო კურსები და დააგროვოს შესაბამისი კრედიტები.

9.2. სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა დოქტორანტი და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიმუშავებენ და წარუდგენენ სამეცნიერო მიმართულების კომისიას დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმას, რომელიც მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის სათაურს, კვლევის მიზანს, კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის განხორციელების ძირითად ეტაპებს და სავარაუდო გრაფიკს (დანართი 2).

9.3. დასაშვებია სადისერტაციო თემის კორექტირება/ცვლილება, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო დოქტორანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ წარდგენილი ერთობილი განცხადების საფუძველზე. თუ ცვლილებით არსებითად იცვლება კვლევის თემატიკა და/ან მეთოდოლოგია, მაშინ განცხადებას უნდა დაერთოს დანართი 1-ით განსაზღვრული ინფორმაცია და შემუშავდეს შესაბამისი დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა (დანართი 2).

10. სადისერტაციო საბჭო

10.1. უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს ერთი ან რამდენიმე სადისერტაციო საბჭო.

10.2. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე აქტების, ამ დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

10.3. სადისერტაციო საბჭოს წევრებს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, მინიმუმ 1 წლის ვადით.

10.4. საჭიროების შემთხვევაში, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოს ვადის გახანგრძლივება.

10.5. სადისერტაციო საბჭოს წევრი უნდა იყოს დოქტორის კვალიფიკაციის მქონე პირი.

10.6. უნივერსიტეტის მიერ სადისერტაციო საბჭოს წევრებისადმი ელექტრონული ფოსტით მიწოდებული ინფორმაცია ითვლება ჩაბარებულად.

11. სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები

11.1. სადისერტაციო საბჭო ქმნის შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების კომისიას და ნიშნავს მის თავმჯდომარეს.

11.2. სამეცნიერო მიმართულების კომისიის წევრი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

11.3. სადისერტაციო საბჭო სამეცნიერო მიმართულების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ამტკიცებს სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)სა და სადისერტაციო თემის სათაურს (დანართი 1) და სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტებს, სადისერტაციო კომისიას და დაცვის თარიღს (დანართი 7).

11.4. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

11.5. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

12. სამეცნიერო მიმართულების კომისიის ფუნქციები

12.1. სამეცნიერო მიმართულების კომისია ამზადებს კანდიდატის სადოქტორო პროგრამაზე მიღებასა და სწავლასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს:

12.1.1. განიხილავს კანდიდატთა მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და ატარებს გამოცდას წერითი და/ან გასაუბრების სახით;

12.1.2. სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა განიხილავს დოქტორანტის სადისერტაციო თემას, სამეცნიერო ხელმძღვანელს და/ან თანახელმძღვანელს (დანართი 1) და დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას (დანართი 2) და სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციას სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ისა და სადისერტაციო თემის სათაურის (დანართი 1) დამტკიცების შესახებ;

12.1.3. სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციას სადისერტაციო კომისიის (რეცენზენტები, წევრები) შექმნისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ (დანართი 7);

12.1.4. ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

12.2. სამეცნიერო მიმართულების კომისია გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება სამეცნიერო მიმართულების კომისიის თავმჯდომარის ხმას.

12.3. სამეცნიერო მიმართულების კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

13. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

13.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს.

13.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებებს და სხდომის ოქმებს.

13.3. თუ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორანტის ხელმძღვანელი, რეცენზენტი ან სხვა მიზეზის გამო შეზღუდულია თავისი მოვალეობის შესრულებაში, მის მოვალეობას ასრულებს სადისერტაციო საბჭოს მიერ არჩეული ერთ-ერთ წევრი.

13.4. სადისერტაციო საბჭოს მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალოს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

14. სადისერტაციო საბჭოს მდივნის მოვალეობები

14.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოსა და მისი სამეცნიერო მიმართულების კომისიების ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებს, ადგენს და ხელს აწერს

სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს, ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოსა და სამეცნიერო მიმართულების კომისიების არქივსა და საქმის წარმოებას.

14.2. საბჭოს მდივანი, სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ნაბეჭდი და ელექტრონული სახით გადასცემს დისერტაციის ერთ ეგზემპლარს. ანოტაცია ბიბლიოთეკას გადაეცემა ინგლისურ ენაზეც.

14.3. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომის მიწოდებას რეცენზენტებისთვის, მათი დანიშვნიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

14.4. საბჭოს მდივანი სადისერტაციო საბჭოს, სხდომამდე ერთი კვირით ადრე, აცნობს დღის წესრიგს.

14.5. სადისერტაციო საბჭოს მდივანი დოქტორანტს, ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე, გადასცემს რეცენზენტების დასკვნებს და აცნობს დაცვის თარიღს.

15. სადისერტაციო კომისია

15.1. სადისერტაციო კომისია იქმნება ყოველი დისერტაციის დაცვისათვის.

15.2. კომისიის წევრი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.

15.3. სადისერტაციო კომისია შედგება არანაკლებ ხუთი წევრისაგან რომელთაგან ორი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტია.

15.4. რეცენზენტი არის უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

15.5. მინიმუმ ერთი რეცენზენტი უნდა იყოს საერთაშორისო რეცენზენტი, რომელიც არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც აქვს დარგის უახლესი ცოდნა, აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

15.6. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც დოქტორანტთან ან მის ხელმძღვანელთან ერთად გამოქვეყნებული აქვს რაიმე სახის სამეცნიერო პუბლიკაცია და/ან დოქტორანტზე ან მის ხელმძღვანელზე თანამდებობრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირი.

15.7. სადისერტაციო კომისიაში შედის მინიმუმ ერთი მოწვეული წევრი.

15.8. სადისერტაციო თემის თავისებურების გათვალისწინებით, სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შევიდნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ადგილობრივი და/ან საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი.

15.9. სადისერტაციო კომისიის დარჩენილი 2 წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულების სათანადო აკადემიური ხარისხისა და გამოცდილების მქონე პირი.

15.10. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე, რომელიც არ არის რეცენზენტი.

15.11. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

16. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის წარდგენის პროცედურები და მოთხოვნები

16.1. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენისათვის დოქტორანტს დასრულებული უნდა ჰქონდეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტები და დაგროვებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი კრედიტები.

16.2. დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე უნდა გამოაქვეყნოს მის საკვლევ თემასთან დაკავშირებული სულ მცირე ორი სამეცნიერო სტატია, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში. სტატია გამოქვეყნებულად ითვლება, თუ იგი მიღებულია ბეჭდვაში გამომცემლობის მიერ (არსებობს შესაბამისი წერილი/ცნობა ან გამოქვეყნებულია ჟურნალის ვებგვერდზე).

16.3. დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოში წარადგენს სადისერტაციო ნაშრომს (სამი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერისია) და სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნას (დანართი 3) სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ.

16.4. სადისერტაციო ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს „სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციის“ შესაბამისად.

16.5. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნაში მოკლედ შეფასებული უნდა იყოს როგორც სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე, პრაქტიკული მნიშვნელობა/ღირებულება, ისე დოქტორანტის წვლილი. თუ სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს დოქტორანტის თანაავტორობით გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიის მასალებს, უნდა აღინიშნოს დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს რელევანტობა სადისერტაციო ნაშრომში შესულ მასალასთან.

16.6. ნაშრომი, როგორც წესი, შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.7. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, მას თან უნდა ერთვოდეს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი მოკლე რეზიუმე ქართულ ენაზე (10-15 გვერდი, A4 ფორმატი), რომელიც იკინძება ძირითად ნაშრომთან ერთად.

16.8. ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა შეიცავდეს ანოტაციას ინგლისურ ენაზე, რომლიც მოიცავს სამეცნიერო სიახლეს, აქტუალობას, გამოყენებულ მეთოდებს და მიღებულ შედეგს.

16.9. სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომს განსახილველად გადასცემს სადოქტორო ნაშრომის თემის შესაბამის სამეცნიერო მიმართულების კომისიას.

16.10. სადისერტაციო საბჭო სამეცნიერო მიმართულების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ამტკიცებს სადისერტაციო კომისიას (რეცენზენტები, წევრები) და დაცვის თარიღს (დანართი 7).

16.11. სადისერტაციო საბჭოს მიერ, რეცენზენტების, კომისიის წევრებისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შემდეგ სადისერტაციო ნაშრომი ეგზავნება რეცენზენტებს.

16.12. რეცენზენტები დასკვნას ამზადებენ ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა და უგზავნიან სადოქტორო პროგრამების კოორდინატორს (დანართი 4).

16.13. ერთი დადებითი რეცენზიის შემთხვევაში ინიშნება დისერტაციის დაცვა.

16.14. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 3 თვის განმავლობაში.

17. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება

17.1. რეცენზენტები ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, სადოქტორო პროგრამების კოორდინატორს წარუდგენენ დასკვნას, რომელიც მოიცავს სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო სიახლის, მიღებული შედეგების სანდოობის შეფასებას ინფორმაციას პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ (დანართი 4).

17.2. რეცენზენტს უფლება აქვს წერილობითი ან ზეპირი ფორმით კითხვით მიმართოს დოქტორანტს გარკვეული საკითხების დაზუსტებისა და საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისთვის.

17.3. რეცენზენტის დასკვნა ასევე მოიცავს სადისერტაციო საბჭოსადმი რეკომენდაციას ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების/არდაშვების ან გარკვეული კორექტირების შემდეგ დაშვების შესახებ.

17.4. რეცენზენტების არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა უფლება დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს არაუგვიანეს ექვსი თვისა.

17.5. რეცენზენტების სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დისერტაცია არ წარედგინება სადისერტაციო კომისიას.

17.6. თუ რეცენზენტების შეფასება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ან ერთ-ერთის შეფასება არის არადამაკმაყოფილებელი ან სრულიად არადამაკმაყოფილებელი, საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო და ნიშნავს მესამე რეცენზენტს.

18. დისერტაციის დაცვა

18.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო და ღია.

18.2. დოქტორანტის და/ან ხელმძღვანელის არგუმენტირებული თხოვნის საფუძველზე სადისერტაციო თემის შინაარსიდან გამომდინარე დისერტაციის დაცვა სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება იყოს დახურული, რომლის საჯარო დაცვაზეც დაიშვებიან მხოლოდ განსაზღვრული პირები.

18.3. ურთიერთთანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია დისერტაციის დაცვის პროცესის ვიდეო ჩანაწერის გაკეთება.

18.4. საჯარო დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად

შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას.

18.5. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისგან:

- რეგლამენტის გამოცხადება;
- დოქტორანტის მოხსენება;
- რეცენზიების წარდგენა;
- სამეცნიერო დისკუსია;
- შეფასება;
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

18.6. სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი დოქტორანტს აფასებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად დანართი 5-ის მიხედვით.

18.7. დოქტორანტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს სადისერტაციო კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულს.

18.8. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დახურვამდე ადგენს საბოლოო შედეგის ოქმს (დანართი 6), რომელსაც ხელს აწერს კომისიის თითოეული წევრი.

18.9. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:

- ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

18.10. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს და დამსწრეთ სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას აცნობს საჯაროდ.

18.11. სადისერტაციო კომისიის მიერ დოქტორანტის დადებითი შეფასების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ანიჭებს პროგრამით გათვალისწინებული დოქტორის (PhD) აკადემიურ ხარისხს.

18.12. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.

18.13. დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ სადისერტაციო საბჭოს წარედგინება შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.

18.14. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დისერტაცია არ ითვლება დაცულად და დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას და მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

19. დოქტორის მინიჭებული კვალიფიკაციის გაუქმება

19.1. აკადემიური და კვლევის ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს წინაშე შეიძლება დაისვას დოქტორის მინიჭებული კვალიფიკაციის გაუქმების საკითხი.

19.2. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ნებისმიერ ეტაპზე პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში წყდება ნაშრომის განხილვის პროცედურა და ინფორმაცია ეგზავნება უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს.

20. სადოქტორო პროგრამის გაუქმება და მობილობა

20.1. სადოქტორო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტს უნივერსიტეტის სხვა მონათესავე სადოქტორო პროგრამას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

20.2. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით.

20.3. შიდა და/ან გარე მობილობის პროცესის ორგანიზება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული შიდა და გარე მობილობის წესების შესაბამისად.

21. გარდამავალი დებულებანი

21.1. 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით კანონმდებლობით დადგენილი წესით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების დისერტაციის დაცვისათვის სადისერტაციო კომისია შედგება არანაკლებ ხუთი წევრისაგან რომელთაგან ორი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტია.

21.2. 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით კანონმდებლობით დადგენილი წესით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების დისერტაციის რეცენზენტი არის უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია დარგის უახლესი ცოდნა, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში.

21.3. 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით კანონმდებლობით დადგენილი წესით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების დისერტაციის დაცვის სადისერტაციო კომისიის წევრი არის უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც რომელსაც გააჩნია დარგის უახლესი ცოდნა, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში.

21.4. 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით კანონმდებლობით დადგენილი წესით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს მის საკვლევ თემასთან დაკავშირებული სულ მცირე ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო

იმპაქტფაქტორის მქონე და/ან სამეცნიერო მიმართულების კომისიების მიერ რეკომენდებულ ჟურნალში.

განცხადება სადოქტორო თემის შერჩევის შესახებ

- შევსებული განცხადება ხელმძღვანელსა და დოქტორანტის მიერ მოწმდება ხელმოწერით და წარედგინება სადისერტაციო საბჭოს/დოქტორანტურის საბჭოს/სადოქტორო პროგრამების კოორდინატორს
- დოქტორანტურის კოორდინატორი განცხადებას განსახილველად გადასცემს შესაბამის სამეცნიერო კომისიას
- სამეცნიერო კომისია განცხადებას განიხილავს მიღებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა და მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობს სადისერტაციო საბჭოს/დოქტორანტურის კოორდინატორს

ივსება სამეცნიერო მიმართულების კომისიის მიერ

სამეცნიერო კომისიის გადაწყვეტილება

☐ დადებითი ☐ უარყოფითი

სამეცნიერო კომისიის სახელით

თავმჯდომარე: _____
სახელი, გვარი

_____
ხელმოწერა

_____
Click or tap to enter a date.
თარიღი

ზოგადი ინფორმაცია

დოქტორანტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო თემის დასახელება:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სკოლა:

ხელმძღვანელი

სახელი, გვარი:

აკადემიური ხარისხი:

სამუშაო ადგილი:

თანახელმძღვანელი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სახელი, გვარი:

აკადემიური ხარისხი:

სამუშაო ადგილი:

ინფორმაცია დაგეგმილ კვლევაზე

კვლევის/პროექტის სიახლე	მოკლედ ჩამოაყალიბეთ დაგეგმილი კვლევის/პროექტის სიახლე

კვლევის/პროექტის აქტუალობა	მოკლედ ჩამოაყალიბეთ დაგეგმილი კვლევის/პროექტის აქტუალობა

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

☐	☐	☐
კვლევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არსებობს **სრულად**	კვლევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არსებობს **ნაწილობრივ**	კვლევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა **არ არსებობს**

თუ კვლევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ არსებობს **„სრულად“**, ახსენით, როგორ იგეგმება მისი შევსება:

დაფინანსების წყარო

☐ გრანტი ☐ უნივერსიტეტი ☐ სხვა

მოკლედ აღწერეთ, რა ფინანსური წყარო(ებ)ით იგეგმება კვლევის განხორციელება:

თემის ხელმძღვანელი:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

დოქტორანტი:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

Click or tap to enter a date.

თარიღი

დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა

❖ ივსება დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

ზოგადი ინფორმაცია

დოქტორანტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო თემის დასახელება:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სკოლა:

ხელმძღვანელი

სახელი, გვარი:

აკადემიური ხარისხი:

სამუშაო ადგილი:

თანახელმძღვანელი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სახელი, გვარი:

აკადემიური ხარისხი:

სამუშაო ადგილი:

ინფორმაცია დაგეგმილ კვლევაზე

კვლევის/პროექტის მიზანი

მოკლედ ჩამოაყალიბეთ დაგეგმილი კვლევის/პროექტის მიზანი

კვლევის/პროექტის მეთოდოლოგია	მოკლედ ჩამოაყალიბეთ დაგეგმილი კვლევის/პროექტის მეთოდოლოგია

კვლევის/პროექტის განხორციელების ძირითადი ეტაპები

#	განსახორციელებელი აქტიურობა	დასრულების სავარაუდო თარიღი

სამეცნიერო სემინარები

#	მოხსენების თემის სავარაუდო დასახელება	თარიღი
სემინარი 1		
სემინარი 2		
სემინარი 3		

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა

- შევსებული ფორმა სადოქტორო ნაშრომთან ერთად წარედგინება სადისერტაციო საბჭოს/სადოქტორო პროგრამების კოორდინატორს
- ფორმა იბეჭდება ერთ ფურცელზე

ზოგადი ინფორმაცია

სტუდენტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო ნაშრომის დასახელება:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სკოლა:

ხელმძღვანელი

სახელი, გვარი:

აკადემიური ხარისხი:

სამუშაო ადგილი:

ხელმძღვანელის შეფასება:

ცოდნა, უნარები	საუკეთესო	კარგი	საშუალო	ცუდი	ვერ ვაფასებ
კვლევის/პროექტის თემატიკის შესახებ თეორიული ცოდნა	☐	☐	☐	☐	☐
სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, განხილვა, გაანალიზება	☐	☐	☐	☐	☐
კვლევის/პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვა	☐	☐	☐	☐	☐
კვლევის ტექნიკის/მეთოდოლოგიის ფლობა	☐	☐	☐	☐	☐
მიღებული შედეგების გაანალიზება, შეჯამება	☐	☐	☐	☐	☐
კვლევის/პროექტის შედეგებზე დასკვნის ჩამოყალიბება	☐	☐	☐	☐	☐
გუნდური მუშაობა	☐	☐	☐	☐	☐

დამატებითი ინფორმაცია	**არასავალდებულო.** მოკლედ აღწერეთ მისი სხვა დადებითი/უარყოფითი უნარები

ხელმძღვანელის დასკვნა

☐ **რეკომენდებულია**
ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება

☐ **არ არის რეკომენდებული**
ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება

პუნქტის **„არ არის რეკომენდებული** “ მონიშვნის შემთხვევაში, მოკლედ მოიყვანეთ შეფასების მიზეზი.

☐ როგორც წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი, ვაცხადებ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს და მასში სხვა ავტორების უკვე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილი მასალები გამოყენებულია ციტირების სათანადო წესების დაცვით და არ მოიცავს პლაგიატს.

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი _____
სახელი, გვარი

_____
ხელმოწერა

Click or tap to enter a date.
თარიღი

სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტის დასკვნა

- შევსებული ფორმა უნდა მიეწოდოს დოქტორანტურის კოორდინატორს
- შევსება შესაძლებელია როგორც კალმით, ისე ელექტრონულად

ზოგადი ინფორმაცია

სტუდენტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო თემის დასახელება:

მისანიჭებელი ხარისხი:

სკოლა:

რეცენზენტი

სახელი, გვარი:

აკადემიური ხარისხი:

ორგანიზაცია:

ელ-ფოსტა:

რეცენზენტის შეფასება:

შეფასების კრიტერიუმები	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	ცუდი	ვერ ვაფასებ
რამდენად აქტუალურია კვლევის/პროექტის თემატიკა?	☐	☐	☐	☐	☐
რამდენად მოიცავს სიახლეს?	☐	☐	☐	☐	☐
რამდენად შეესაბამება კვლევის მეთოდოლოგია კვლევის მიზნებს?	☐	☐	☐	☐	☐
რამდენად დამაჯერებელია დასკვნა?	☐	☐	☐	☐	☐
რამდენად სწორად არის შერჩეული და მითითებული ლიტერატურის წყაროები?	☐	☐	☐	☐	☐
რამდენად აკადემიური ენით არის გაფორმებული სადოქტორო ნაშრომი?	☐	☐	☐	☐	☐
რამდენად არის გაფორმებული სადოქტორო ნაშრომი დადგენილი წესების მიხედვით?	☐	☐	☐	☐	☐

დამატებითი ინფორმაცია	მოკლედ აღწერეთ თქვენი შეფასების თითოეული კრიტერიუმის მიხედვით.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

☐ მისანიჭებელი კვალიფიკაცია **შეესაბამება** სადოქტორო ნაშრომის თემატიკას	☐ მისანიჭებელი კვალიფიკაცია **არ შეესაბამება** სადოქტორო ნაშრომის თემატიკას
უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მოკლედ ახსენით:	

რეცენზენტის დასკვნა

☐ **რეკომენდებულია** ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება	☐ **რეკომენდებულია** ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება **რედაქტირების შემდეგ**	☐ **არ არის რეკომენდებული** ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება

მე-2 და მე-3 პუნქტის მონიშვნის შემთხვევაში, მოკლედ მოიყვანეთ შეფასების მიზეზი.

რეცენზენტი: _____

სახელი, გვარი

_____

ხელმოწერა

Click or tap to enter a date.

თარიღი

დოქტორანტის შეფასება

❖ ფორმა განკუთვნილია სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრისათვის

ზოგადი ინფორმაცია

კომისიის წევრი

სტატუსი: ☐ თავმჯდომარე ☐ მოწვეული წევრი ☐ წევრი ☐ რეცენზენტი

სახელი, გვარი:

სამეცნიერო ხარისხი:

ორგანიზაცია: ☐ აგრარული უნივერსიტეტი ☐ სხვა:

დოქტორანტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო თემის დასახელება:

შეფასება

N	კრიტერიუმი	სტუდენტის ქულა	მაქს. ქულა
1	რამდენად აქტუალურია სადოქტორო ნაშრომში განხილული საკითხი და მოიცავს თუ არა იგი სიახლეს?		25

მოკლე კომენტარი

2	რამდენად შეესაბამება კვლევის/პროექტის მეთოდოლოგია მიზნებს?		20

მოკლე კომენტარი

3	რამდენად საინტერესოდ, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცემს საკითხს? რამდენად ამჟღავნებს საკითხის სიღრმისეულ ცოდნას?		45

4	რამდენად ეფექტურად არის გაფორმებული პრეზენტაცია?		10

ჯამური ქულა:		100

კომისიის წევრი:	
	ხელმოწერა
	თარიღი

ინსტრუქცია

ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე 25 ქულა

25-20 - სადოქტორო ნაშრომი ინოვაციურია/აქტუალურია და პრობლემა საუკეთესოდ არის ფორმულირებული; მიზნები და ამოცანები მკაფიოდ და სწორედ არის დასახული

19-15 - სადოქტორო ნაშრომი ინოვაციურია/აქტუალურია და პრობლემა კარგად არის ფორმულირებული; მიზნები და ამოცანები მკაფიოდ და სწორედ არის დასახული

14-10 - სადოქტორო ნაშრომი მეტნაკლებად აქტუალურია და პრობლემა არის ფორმულირებული; მიზნები და ამოცანები არის დასახული

9-5 სადოქტორო ნაშრომი არ ეხება აქტუალურ საკითხებს და არც მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, მაგრამ, დოქტორანტს აქვს ნაშრომი მინიმალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; მიზნები და ამოცანები გამიჯნული არ არის

4-0 - სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები არ არის წარმოდგენილი

კვლევის მეთოდოლოგია 20 ქულა

20-15 - კვლევის მეთოდოლოგია ნათელია, ლოგიკურად და ამომწურავად არის გაშუქებული

14-10 - კვლევის მეთოდოლოგია გასაგებია, ლოგიკურად არის გაშუქებული, ჩნდება გარკვეული შეკითხვები

9-5 - კვლევის მეთოდოლოგია არასრულყოფილია, გაუგებარია და ჩნდება ბევრი შეკითხვა

4- 0- კვლევის მეთოდოლოგია არ შეესაბამება საკითხს/ არ არის წარმოდგენილი

კითხვებზე პასუხების დასაბუთებულობა 45 ქულა

45-40 - ყველა შეკითხვაზე იძლევა სწორ და ამომწურავ პასუხს, ავლენს კვლევის თემის ღრმა ცოდნას და ავლენს სიღრმისეული ანალიზის კარგ უნარს

39- 31 - უმრავლეს შეკითხვაზე იძლევა სწორ და ამომწურავ პასუხს, ავლენს კვლევის თემის სათანადო ცოდნას და ავლენს ანალიზის კარგ უნარს

30- 22- შეკითხვების გარკვეულ ნაწილზე არ აქვს სწორი პასუხი, დანარჩენზე იძლევა სწორ და ამომწურავ პასუხს

21-14- შეკითხვების გარკვეულ ნაწილზე არ აქვს პასუხი

5 -13- შეკითხვების უმეტეს ნაწილს ვერ გასცა სწორი პასუხი

5-0- დოქტორანტმა ცუდად ან საერთოდ ვერ უპასუხა შეკითხვებს

პრეზენტაბელურობა 10

10-9 -ძალიან კარგად არის აგებული პრეზენტაციის სლაიდები

8-7 –კარგად არის აგებული პრეზენტაციის სლაიდები

6-5 - პრეზენტაციის სლაიდები დაუხვეწავი და ცუდად აღქმადია

4–3 - პრეზენტაბელურობა ცუდია, მაგრამ დოქტორანტი აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს

2-0 - პრეზენტაცია არ არის წარმოდგენილი /არ ეხება საკითხს

დოქტორანტის შეფასება -
სადისერტაციო კომისიის შემაჯამებელი ოქმი

- ❖ ფორმა განკუთვნილია სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის თამჯდომარისათვის
- ❖ შევსებული და ხელმოწერილი შემაჯამებელი ოქმი კომისიის წევრების ინდივიდუალურ ოქმებთან ერთად წარედგინება დოქტორანტურის კოორდინატორს
- ❖ შევსება შესაძლებელია როგორც ხელით, ისე ელექტრონულად
- ❖ იბეჭდება ერთ ფურცელზე

ზოგადი ინფორმაცია

სტუდენტი

სახელი, გვარი:	
სადოქტორო თემის დასახელება:	
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:	
სკოლა:	
დაცვის თარიღი:	Click or tap to enter a date.

შეფასება

N	კომისია	სტუდენტის ქულა	მაქს. ქულა
1	თავმჯდომარე:		100
2	რეცენზენტი:		100
3	რეცენზენტი:		100
4	მოწვეული წევრი:		100
5	წევრი:		100
6	წევრი:		100
7	წევრი:		100
	საბოლოო შეფასება (ქულა):		100
	საბოლოო შეფასება (სიტყვიერად):	_____.	

თავმჯდომარე:	
	ხელმოწერა
რეცენზენტი:	
	ხელმოწერა
რეცენზენტი:	
	ხელმოწერა
მოწვეული წევრი:	
	ხელმოწერა
წევრი:	
	ხელმოწერა
წევრი:	
	ხელმოწერა

ოქმი

სადისერტაციო კომისიის (რეცენზენტების, წევრების) და დაცვის თარიღის რეკომენდირება

- ფორმა განკუთვნილია სამეცნიერო მიმართულების კომისიისათვის
- ხელმოწერილი ოქმი წარედგინება სადისერტაციო საბჭოს
- შევსება შესაძლებელია როგორც ხელით, ისე ელექტრონულად
- იბეჭდება ერთ ფურცელზე

დოქტორანტი:	
სახელი, გვარი:	
სადოქტორო თემის დასახელება:	
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:	
სკოლა:	

_____ სამეცნიერო მიმართულების კომისიამ განიხილა ზემოთ მოყვანილი სადისერტაციო ნაშრომი და მიზანშეწონილად მიიჩნევს სადისერტაციო კომისია და რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

N	კომისია	სახელი	გვარი	ორგანიზაცია
1	თავმჯდომარე:			
2	რეცენზენტი:			
3	რეცენზენტი:			
4	მოწვეული წევრი:			
5	წევრი:			
6	წევრი:			
7	წევრი:			

დისერტაციის დაცვის თარიღი: _____.

სამეცნიერო მიმართულების კომისიის
თავმჯდომარე:

_____
სახელი, გვარი

_____
ხელმოწერა

_____.
თარიღი